

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
ლევან კობიაშვილს
ელ-ფოსტა: gff@gff.ge
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 76ა

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს
გიორგი ქართველიშვილს
ელ-ფოსტა: info@volley.ge
მის: ქ. თბილისი, კიევის ქ. N8ა

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება N8356/22 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ქალთა საფეხბურთო კლუბში მოასპარეზე ფეხბურთელების ტრავმების მკურნალობის კუთხით არსებული პრობლემებს შეეხება. განმცხადებლის ინტერესებს ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“-ის წარმომადგენელი ქ. ბ. წარმოადგენს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით სარგებლობის კუთხით სპორტში ჩართული ქალების წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში წინამდებარე საქმის შესწავლამდეც ფიქსირდებოდა. 2021 წელს სახალხო დამცველმა საკითხი ქალ ფეხბურთელთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, ასევე, დედობის უფლების სათანადოდ დაცვის მიმართულებით შეაფასა.¹ შესაბამის გადაწყვეტილებაში,² აღარ განხილულა განმცხადებლების მიერ ხაზგასმული გარემოება, რომ ფეხბურთით დაკავებული კაცებისგან განსხვავებით, ქალები ვერ სარგებლობდნენ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით, ვინაიდან,

¹ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 15-16.

² საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბერის რეკომენდაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Z8j1my>.

აღნიშნული გამოწვევა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის³ საფუძველზე, აღმოფხვრილად ჩაითვალა.

ანალოგიური ინფორმაციაა წარმოდგენილი განსახილველ განცხადებაშიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2021 წელს სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოების პარალელურად, ვითარება გამოსწორდა და საფეხბურთო კლუბმა სპორტში ჩართულ ქალებს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა შესთავაზა, რის საფასურსაც ფეხბურთელები თავად იხდიდნენ. თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობა 2022 წლის იანვრიდან აღარ არსებობს და ფეხბურთელების მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობას და სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტებს არც სადაზღვევო კომპანია ანაზღაურებს და არც კლუბი. ამასთან, კლუბს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სამედიცინო დაწესებულებასთან, რომელსაც არ ჰყავს შესაბამისი სპეციალიზაციისა და კომპეტენციის ექიმები, რის გამოც, ვერ ხერხდება ყველა ფეხბურთელის ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილება. ამ პირობებში, ვარჯიშისა და თამაშის გაგრძელებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ზიანი გამოიწვიოს განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს ქალთა ეროვნულ ლიგაში მოასპარეზე კლუბებიდან და გუნდური სპორტის სხვა სახეობების ფედერაციებიდან.⁴

2022 წელს ქალთა ლიგაში მონაწილე 8 გუნდიდან,⁵ სახალხო დამცველის აპარატმა საპასუხო წერილი მხოლოდ ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთისგან“ მიიღო, რომლის მითითებითაც, კლუბში დასაქმებულ ქალ ფეხბურთელებს, მათთან არსებული შრომითი კონტრაქტების საფუძველზე, სრულად უნაზღაურდებათ პროფესიული სამუშაოს (მატჩები და ვარჯიშები) შესრულებისას მიღებული ტრავმების მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის აუცილებელი პროცედურებისა და მედიკამენტების ხარჯები.⁶

სამწუხაროდ, სხვა კლუბებს ინფორმაცია არ მოუწოდებიათ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის შეფასებისას, სახალხო დამცველი მხედველობაში მიიღებს 2021 წელს დაწყებული მოკვლევისას მიღებულ პასუხებს, რომლებშიც კაცთა საფეხბურთო კლუბები გადაჭრით მიუთითებდნენ, რომ ვარჯიშისა და თამაშის დროს მიღებული ყველა სახის ტრავმის კვლევასა და მკურნალობას აფინანსებდნენ,⁷ ქალთა კლუბებიდან მიღებულ კორესპონდენციებში კი, გვხვდებოდა

³ 2020 წლიდან ლიცენზირებად ლიგებს დაემატა ქალთა ლიგაც, შესაბამისად, ქალთა კლუბებისთვის 2021 წლის ჩემპიონატისთვის სავალდებულო გახდა ექიმისა და ფიზიოთერაპევტის ყოლა. ექიმი პასუხისმგებელია მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე, ასევე დოპინგის პრევენციაზე, ხოლო ფიზიოთერაპევტი პასუხისმგებელია გუნდის მკურნალობასა და მასაჟზე.

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის N13-3/11388, N13-3/11391, N13-3/11389 და N13-3/11390 წერილები.

⁵ ჩამონათვალი იხ.: <https://bit.ly/3Ck6pyU>.

⁶ ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ 2022 წლის 9 დეკემბრის წერილი.

⁷ 2021 წლის 8 იანვრის N116/21 კორესპონდენცია; 2021 წლის 18 იანვრის N354/21 კორესპონდენცია.

შემდეგი შინაარსის ფრაზები, რომლებიც აქცენტს კლუბის შესაძლებლობაზე აკეთებდა: „თითოეული ფეხბურთელის კარიერული წინსვლა უპირველესად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა დამოკიდებული ... კლუბს არ აქვს საკმარისი ფინანსები, რომ უზრუნველყოს ექიმის მუდმივი დასაქმება ... ქალთა ფეხბურთის დაფინანსება არ არის მამაკაცთა ფეხბურთის დაფინანსების შესაბამისი ... საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებ ქალთა ფეხბურთის წინსვლისა და განვითარებისთვის ... მოცემულ საკითხზე [იგულისხმება ქალ ფეხბურთელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვა და სათანადო პირობებში ყოფნა] იმაზე მეტად ზრუნავს [საფეხბურთო კლუბი], ვიდრე ამის შესაძლებლობა აქვს“;⁸ „როგორც მოთამაშე, ასევე კლუბი დაინტერესებულია, რომ ფეხბურთელი იყოს ჯანმრთელი და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი უნარები, შესაბამისად კლუბი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ყველა ზომას მიმართავს ამ მიზნის მისაღწევად ... საფეხბურთო სამყაროში თანასწორობის უფლებები კომპლექსური საკითხია და პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსურ რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან თანაბრად წვდომასთან.“⁹ აღსანიშნავია, რომ ყველა კლუბი ხაზს უსვამდა მათი მხრიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას.

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით,¹⁰ საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის მხრიდან ლიცენზირებას ექვემდებარება უმაღლეს ლიგაში მონაწილე 6 ქალთა გუნდი და პირველ ლიგაში მონაწილე 8 გუნდი. კლუბებთან დაკავშირებით, ფედერაციამ დაზუსტებული პასუხის მოწოდება ვერ შეძლო, მათ შორის, ექიმისა და ფიზიოთერაპევტის დასაქმების საკითხზე, და მხოლოდ აღნიშნა, რომ ისინი სპორტულ საქმიანობას დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსს მქონე ორგანიზაციის ქვეშ ახორციელებენ და, შესაბამისად, მკურნალობის და სამედიცინო მომსახურების ვალდებულება მათ გააჩნიათ. ქალთა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებთან დაკავშირებით კი, მიეთითა, რომ მათ საჭიროებებს მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს, არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე. ფედერაცია შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ეროვნულ ნაკრებში ჩარიცხული სპორტში ჩართული ქალების მკურნალობას, შეჯიბრის ან საწვრთნელი-შეკრების პროცესში.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის განმარტებით კი,¹¹ საქართველოში, დღეის მდგომარეობით, ქალთა ლიცენზირებული გუნდები არ არსებობს. ხოლო, ასაკობრივ ნაკრებებს ფედერაცია უზრუნველყოფს ექიმის მომსახურებით. ასევე, ვარჯიშის ან თამაშის განმავლობაში მათ მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობა და შემდგომი რეაბილიტაცია კალათბურთის ფედერაციის მიერ ხორციელდება.

2. სამართლებრივი შეფასება

⁸ 2021 წლის 8 ივნისის N6064/21 კორესპონდენცია.

⁹ 2021 წლის 21 ივნისის N6600/21 კორესპონდენცია.

¹⁰ საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 20 დეკემბრის N1/254/22 წერილი.

¹¹ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 21 ნოემბრის N941 წერილი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს **დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე**. ამავე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

2.1. ზოგადი კონტექსტი

ბოლო წლების განმავლობაში, ქალთა სპორტის განვითარებისთვის, მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატში მომართვიანობის თვალსაზრისით აქტუალური სახეობის, ფეხბურთის მიმართულებით. კერძოდ, 2020 წლიდან ლიცენზირებად ლიგებს დაემატა ქალთა ლიგაც;¹² 2021 წელს დამტკიცდა 2021-2024 წლების „ქალთა და გოგონათა ფეხბურთის სტრატეგია“;¹³ 2022 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი;¹⁴ რეგულარულად იმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, რომელთა მიზანია ფეხბურთში გოგონების ჩართულობის წახალისება, როგორც გოგონებისა და ბიჭებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის და სპორტში თანასწორობის დამკვიდრების საშუალება¹⁵ და სხვ. თუმცა, სპორტში ქალთა ჩართულობის ზრდის პარალელურად, არსებითი მნიშვნელობა აქვს, მათი უფლებების დაცვის გარანტირებას. ამ კუთხით, პრობლემურად დგას ქალთა კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელთა **შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები**, რომელთაც თამაშებისა და ვარჯიშების დროს მიღებული ტრავმების მკურნალობა უკავშირდება.

ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატმა საპასუხო წერილი ქალთა ლიგაში მონაწილე მხოლოდ 1 გუნდისგან მიიღო, შეიძლება თავისთავად მეტყველ ფაქტად მივიჩნიოთ. მსგავს ვარაუდს, სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებებთან ერთად, კიდევ უფრო მეტად ამყარებს, საფეხბურთო კლუბებისგან 2021 წელს მიღებული ზემოთ ხაზგასმული პასუხები, რომლებშიც კაცთა საფეხბურთო კლუბები გადაჭრით მიუთითებდნენ, რომ ვარჯიშისა და თამაშის

¹² საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის N5 წერილი.

¹³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Vlr9HM>.

¹⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jLciyS>.

¹⁵ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის N5 წერილი.

დროს მიღებული ყველა სახის ტრავმის კვლევასა და მკურნალობას აფინანსებდნენ, ქალთა კლუბები კი, აქცენტს კლუბის შესაძლებლობაზე აკეთებდნენ.

საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთიდან“ მიღებული ინფორმაციით, 2022 წელს კლუბში დასაქმებული ქალი ფეხბურთელების მიერ მატჩებისა და ვარჯიშების შესრულებისას მიღებული ტრავმების მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის აუცილებელი პროცედურებისა და მედიკამენტების ხარჯებისთვის კლუბის ბიუჯეტიდან 23 170 ლარი გაიხარჯა.¹⁶ კლუბების შემოსავალთან მსგავსი ხარჯის შედარების მიზნებისთვის, საინტერესო მონაცემებს შეიცავს ფეხბურთის კლუბ „კვარტალის“ 2021 წლის სეზონის ბიუჯეტი, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.¹⁷ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ქალთა ლიგის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ფეხბურთის განვითარების ფონდისგან კლუბს სეზონისთვის მიღებული აქვს 30 000 ლარი, ხოლო, მისი სასპონსორო შემოსავალი 27 500 ლარს შეადგენდა. გასათვალისწინებელია, რომ საკლუბო ბიუჯეტი ქალთა გუნდის გარდა, ვაჟთა და ასაკობრივ გუნდებსაც ხმარდება. საერთო ხარჯში კი, სამედიცინო ხარჯებთან ერთად, ეკიპირებისა და ინვენტარის, მატჩების ორგანიზებისა და საშეჯიბრო და მოთამაშეთა ხარჯები ერთიანდება.

საგულისხმოა, რომ ქალთა კლუბები ნაკლებად მნიშვნელოვნად და შემოსავლის გენერირებისა და რეკლამირების კუთხით ნაკლებად მომგებიანებად აღიქმებიან, რის გამოც, მეტად შეზღუდული ფინანსური რესურსი აქვთ.¹⁸ შედეგად, 2019 წლის მონაცემებით, სპორტის პირდაპირი კორპორატიული დაფინანსების სრული ბაზრის მოცულობის 93% კაცთა სპორტის ინდუსტრიისკენ იყო მიმართული, რაც ქალთა სპორტს მხოლოდ 7%-იან წილს უტოვებდა.¹⁹

ყოველივე ზემოთ თქმული ნათლად მიანიშნებს, რომ ქალთა საფეხბურთო კლუბებში დასაქმებულთა ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვა პრობლემურია. შედეგად, ამ კუთხით წარმოშობილი ხარჯების გაღება, შესაძლოა, თავად ფეხბურთელებს აწვებოდეთ ტვირთად. ეს კი, იმ პირობებში, როდესაც ამ სფეროში დიდია გენდერული სახელფასო სხვაობაც. არსებული მონაცემებით, მოწინავე გუნდურ სპორტებში კაცები, ქალებთან შედარებით, საშუალოდ, 101-ჯერ მეტ თანხას გამოიმუშავენ.²⁰ პროფესიონალი ათლეტების შემოსავალი ხელფასის, შეჯიბრებში მონაწილეობით მიღებული ბონუსების, საპრიზო თანხებისა და კომერციული სპონსორობის კომბინაციას მოიცავს; უკანასკნელი მათგანის მიღების წინაპირობა მედია ყურადღება და გულშემატკივართა ფართო შემადგენლობაა, რომელთა ნაკლებობასაც ქალი ათლეტები განიცდიან.²¹ ამ გამოწვევების ეფექტი კარგად გამოვლინდა 2019 წელს 33 ქვეყანაში 3000 ქალი ფეხბურთელის

¹⁶ ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის“ 2022 წლის 9 დეკემბრის წერილი.

¹⁷ იხ. <https://bit.ly/3IvAAHg>.

¹⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომიტეტის 2022 წლის 22 სექტემბრის ანგარიში „ბრძოლა თანასწორი სათანამშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, Doc. 15611, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GCQrCB>, პარ. 4.

¹⁹ იქვე, პარ. 36.

²⁰ იქვე, პარ. 34.

²¹ იქვე, პარ. 35.

გამოკითხვის შედეგად, რომელთა 89% აცხადებდა, რომ კარიერის ადრეულ ეტაპზე დასრულებას განიხილავდა, მათ შორის, დაბალი ხელფასის და არასათანადო სამუშაო პირობების გამო, მიუთითებდნენ რა, რომ მიღებული შემოსავალი მათ ხარჯებს ვერ ფარავდა.²²

არანაკლებ საყურადღებოა ფრენბურთის სფეროში არსებული მდგომარეობაც, ვინაიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფრენბურთელთა ტრავმების მკურნალობა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების შემთხვევაში, შეზღუდულ მატერიალურ შესაძლებლობებზეა მიბმული, ლიცენზირებული კლუბების მხრიდან მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების შესრულების კუთხით არსებული მდგომარეობა კი, უცნობია.

2.2. არსებული მდგომარეობის ფაქტობრივი შედეგები თანასწორობის პრინციპის კრილში

სპორტში ქალთა ჩართულობის ზრდის პარალელურად, სპორტში ჩართული ქალების თანასწორუფლებიანობის კუთხით არსებული გამოწვევები უფრო და უფრო აქტუალური ხდება. 2022 წლის 13 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შესახებ რეზოლუცია,²³ რომლითაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, იმუშაონ ქალებისა და გოგოებისათვის სპორტულ აქტივობებში მონაწილეობისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის; სპორტი განიხილონ როგორც ინტეგრაციისა და ემანსიპაციის საშუალება; და განახორციელონ ინვესტიციები სპორტის განვითარებისათვის ყველასათვის.²⁴ ასამბლეის მითითებით, სპორტს, უნივერსალური ხასიათის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია დამოკიდებულებების ცვლილებაზე, მათ შორის, საზოგადოებებში არსებული განგრძობადი გენდერული უთანასწორობების შესახებ კოლექტიური ცნობიერების ამაღლებაზე.²⁵ რეზოლუცია დაეფუძნა თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომიტეტის ანგარიშს,²⁶ რომელშიც მომხსენებელი ხაზს უსვამს, მათ შორის, სპორტული ფედერაციების ვალდებულებას, მიზნად დაისახონ და იმოქმედონ ქალთა სპორტის განვითარებაში ინვესტიციების განხორციელებისა და გენდერული თანასწორობის აქტიური ხელშეწყობისთვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2021 წლის 13 ოქტომბერს განახლდა სპორტის ევროპული ქარტია, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, გადაადგან აუცილებელი ნაბიჯები, რათა ყველას მიეცეს სპორტში მონაწილეობის შესაძლებლობა **უსაფრთხო, დაცულ და ჯანმრთელ გარემოში**;²⁷ ასევე, განავითარონ ღირებულებებზე დაფუძნებული სპორტი, რაც მოიცავს,

²² იქვე, პარ. 40.

²³ ევროპის საბჭოს რეზოლუცია 2465 (2022), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CnBjGS>.

²⁴ იქვე, პარ. 7.3.2.

²⁵ იქვე, პარ. 5.

²⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კომიტეტის 2022 წლის 22 სექტემბრის ანგარიში „ბრძოლა თანასწორი სათამაშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, Doc. 15611, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GCQrCB>.

²⁷ გადასინჯული სპორტის ევროპული ქარტიის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის 13 ოქტომბრის CM/Rec(2021)5 რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს, მუხ. 1, პუნ. 1 („ბ“), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Z1yvJ4>.

მათ შორის, უზრუნველყოფას, რომ **დაცული იყოს სპორტულ აქტივობებში ჩართული პირების უფლებები**.²⁸ ქარტია ხაზს უსვამს სპორტული მედიცინისა და ფიზიკური მთლიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელობასაც.²⁹

შემთხვევითი არ არის, რომ ევროსაბჭოს ფარგლებში, აღნიშნული საკითხები თანასწორობის პრიზმიტ განიხილება, ვინაიდან როგორც კლუბების დაფინანსების, ისე - ფეხბურთელების შემოსავლების ნაკლებობის გამო, ქალი პროფესიონალებისთვის ტრავმების მკურნალობა და, შესაბამისად, შეუფერხებელი კარიერული წინსვლა გაცილებით რთულია. ამ იმთავითვე არათანასწორ საწყის მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს არასათანადო მოწესრიგება. მართალია, საქართველოს შრომის კოდექსი დამსაქმებელს ავალდებულებს, **დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები**;³⁰ ამასთან, 2021 წლიდან ქალთა საფეხბურთო კლუბებისთვის სავალდებულო გახდა ექიმისა და ფიზიოთერაპევტის ყოლა, რომლებიც, შესაბამისად, მატჩებისა და ვარჯიშების დროს სამედიცინო მხარდაჭერაზე და გუნდის მკურნალობასა და მასაჟზე არიან პასუხისმგებელნი, თუმცა, კლუბების მხრიდან ვარჯიშის/თამაშის დროს სპორტში ჩართული ქალების მიერ მიღებული ტრავმების სამკურნალო პროცედურების, მკურნალობის დაფინანსების საკითხი სრულად კლუბების კომპეტენციას არის მინდობილი,³¹ რაც, ზემოთ მითითებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ქალ ფეხბურთელებზე მწვავედ აისახება და არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

შემთხვევები, როდესაც არსებულ პრაქტიკას არაპროპორციულად საზიანო ეფექტი აქვს, ირიბი დისკრიმინაციის შემადგენლობას ქმნის.³² გასათვალისწინებელია, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენისთვის არ არის აუცილებელი, კონკრეტული მახასიათებლის მქონე ყველა ადამიანი აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა.³³ შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ქალთა რომელიმე საფეხბურთო კლუბში, შესაძლოა, განხილული პრობლემა მწვავედ არ იდგეს ან/და ანალოგიური გამოწვევა კაცთა რამდენიმე კლუბსაც ჰქონდეს, ახდენს მხოლოდ ფოკუსის გადატანას განსხვავებული მოპყრობიდან განსხვავებული ეფექტისკენ.

3. დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამგვარი დისკრიმინაციული მოცემულობების აღმოფხვრაში განსაკუთრებული როლი სპორტულ ფედერაციებს აკისრიათ.

²⁸ იქვე, მუხ. 2, პუნ. „ა“.

²⁹ იქვე, მუხ. 13-14.

³⁰ საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 45, პუნ. 6.

³¹ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2021 წლის 21 იანვრის N5 წერილი.

³² „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 2, პუნ. 3.

³³ დისკრიმინაციის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, 2018, გვ. 58, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2HSPJ2Z>.

ერთი მხრივ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, როგორც საქართველოში ფეხბურთის ხელმძღვანელ ერთადერთ ორგანოს, რომელიც სრულად წარმართავს საფეხბურთო საქმიანობას;³⁴ ადგენს საფეხბურთო ინსტრუქციებსა და დებულებებს და უზრუნველყოფს მათ მოქმედებას;³⁵ ამყარებს საქმიან ურთიერთობებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, იღებს და გასცემს სხვადასხვა ფინანსურ სახსრებს³⁶ და სხვ. თავის მხრივ, ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის წესდების თანახმად: ფედერაციის იურისდიქცია და უფლებამოსილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება და მისი გადაწყვეტილებების შესრულება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ფედერაციის ყველა წევრისთვის, სპორტული საზოგადოებისა და უწყებებისთვის, აგრეთვე, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკულტურულ-სპორტული ორგანიზაციისთვის სავალდებულოა;³⁷ ამასთან, მისი მიზნებსა და საქმიანობებს შორისაა ფედერაციის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, სპორტსმენების, მწვრთნელების, ვეტერანებისა და სხვა სპეციალისტების სოციალური უფლებების დაცვა, ისევე, როგორც სასწავლო-მეთოდური და საცნობარო-საინფორმაციო საქმიანობა.³⁸ ფედერაციის შემოსავლის წყაროებია, მათ შორის, შემოწირულობები, გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი, სპონსორ ორგანიზაციათა ფულადი დახმარება.³⁹

მნიშვნელოვანია, ფედერაციებმა ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, განიხილონ მკურნალობის დაფინანსებისთვის ეფექტური მექანიზმის დანერგვის საკითხი; და გაზარდონ ძალისხმევა სპორტში ჩართული ქალების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სპორტის სხვა სახეობებში ქალთა მონაწილეობის სტიმულირება, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად იყოს დამოკიდებული უკვე განვითარებულ სფეროებში არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის ლიცენზირებულ კლუბებს/გუნდებს გაუზიარონ წინამდებარე ზოგადი წინადადება და მიაწოდონ ინფორმაცია ვარჯიშის/თამაშის დროს

³⁴ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება, მუხ. 1.1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IEB2U3>.

³⁵ იქვე, მუხ. 2.3.

³⁶ იქვე, მუხ. 2.11

³⁷ ა(ა)იპ „საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის“ წესდება, მუხ. 1.6

³⁸ იქვე, მუხ. 2.1(ე), მუხ. 2.2(ვ, ზ)

³⁹ იქვე, მუხ. 12.3, 12.4

სპორტში ჩართული ქალების მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების თაობაზე;

- გამოიკვირონ ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის ლიცენზირებული კლუბების/გუნდების მხრიდან მათთან დასაქმებული ფეხბურთელების/ფრენბურთელების ტრავმების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების კუთხით არსებული მდგომარეობა და ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის ლიცენზირებული კლუბების/გუნდებისა და მათთან დასაქმებული ფეხბურთელების ჩართულობით, შეიმუშავონ ვარჯიშის/თამაშის დროს ფეხბურთელთა/ფრენბურთელთა მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობის დაფინანსების ეფექტური მექანიზმი;
- მოიძიონ საფეხბურთო/ფრენბურთის კლუბებისთვის/გუნდებისთვის სპეციალური სადაზღვევო პაკეტების ან დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობა ფეხბურთელთა/ფრენბურთელთა მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით და ამ პროცესში გაითვალისწინონ ქალთა საფეხბურთო/ფრენბურთის კლუბების/გუნდების და ქალი ფეხბურთელების/ფრენბურთელების საჭიროებები. ამასთან, საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მოიძიოს დამატებითი ფინანსური რესურსი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების წევრი ფრენბურთელების სათანადო და შეუფერხებელი მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,